



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/5631
17/07/2019

5631-09-2-201907171154



„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრი“-ს პროგრამის კოორდინატორს
ბატონ ვახტანგ კობალაძეს
მის: თბილისი 0177, დელისის I შესახვევი 5 ა.

ბატონო ვახტანგ,

სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“-მ განიხილა თქვენი 2019 წლის 26 ივნისის №3-370 წერილი, სს „ფუდმარტი“ შექმნილი სურსათის ეტიკეტირებისა და ვადის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ 2019 წლის 11 ივლისს განხორციელდა სს „ფუდმარტი“-ს (ს/კ 404460187, მის: თბილისი, 26 მაისის მოედანი №1) სახელმწიფო კონტროლი. სუპერმარკეტის შემოწმებისას, დახლ-მაცივრებსა და საწყობში არ აღმოჩნდა წერილში აღნიშნული სურსათი, თუმცა მიკვლევადობით დადგინდა, რომ სურსათის „სულგუნი შუამთა“ მომწოდებელი იყო ი/მ „ლევან ბეჟანიშვილი“ (ს/კ 20001008282, მის: თელავი, სოფ. კურდღელაური). ასევე შემოწმებული იქნა სხვადასხვა დასახელების ყველის შენახვის პირობები, რეალიზაციის ვადები, ეტიკეტირების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

რეალიზაციაში არსებული ყველის რეალიზაციის ვადები დაცული იყო. სურსათის ინახებოდა მაცივრებში ტემპერატურული რეჟიმის დაცვით, შესაბამისად დარღვევები არ გამოვლინდა.

2019 წლის 16 ივლისს კახეთის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდა სახელმწიფო კონტროლი ი/მ „ლევან ბეჟანიშვილი“-ს (ს/კ 20001008282) რძისა და რძის პროდუქტების საწარმოში (თელავი, სოფ. კურდღელაური). აღნიშნულ ობიექტში შემოწმებულ იქნა არსებული ჰიგიენურ/სანიტარული მდგომარეობა, ნედლეულისა და მზა სურსათის ვარგისიანობის ვადები, სურსათის ეტიკეტირება და პროდუქციის შენახვის პირობები. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ ბიზნესოპერატორს შეეწყვიტა თქვენს მიერ წერილში აღნიშნული ეტიკეტით სურსათის რეალიზაცია და დაემზადებინა ახალი ეტიკეტი,

რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემოწმებისას გამოვლენილი არაკრიტიკული შეუსაბამობების გამოსასწორებლად გაიცა ვადა მათ აღმოსაფხვრელად.

პატივისცემით,

ზურაბ ლიპარტია

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

